

რენე გასპარ ერნესტ ტაილანდიე, „კავკასიის ომი - პრინცი ვორინცოვი და მოციქული შამილი“.

Saint-René Taillandier. La Guerre du Caucase – Le prince Woronzoff et le prophète Shamyl. *Revue des Deux Mondes*, 2e série de la nouv. période, tome 4, 1853 (p. 409-448)

L'autre voyageur à qui nous demanderons nos renseignements est M. Frédéric Bodenstedt. (...) il a demeuré longtemps dans la capitale de la Géorgie, et ses meilleurs camarades littéraires, ce ne sont pas des écrivains de l'Allemagne, ce ne sont pas les collaborateurs de la *Gazette d'Augsbourg*, à qui il a fourni souvent de si curieux travaux: ce sont les chanteurs circassiens et les théologiens de Tiflis, c'est l'aimable poète Mirza-Schaffy et le savant Abbas-Kouli-Khan (412).

სხვა მოგზაური, რომლის ინფორმაციასაც მოვიხმობთ, ბ-ნი ფრედერიკ ბოდენშტედტია. (...) ის დიდხანს ცხოვრობდა საქართველოს დედაქალაქში და მისი საუკეთესო მეგობრები ლიტერატურის თვალსაზრისით არც მწერლები იყვნენ გერმანიიდან, არც Augsburg Gazette-ის თანამშრომლები, რომლებსაც ხშირად აწვდიდა ასეთ საინტერესო ნაწარმოებებს: ეს ჩერქეზი მომღერლები და ტფილისელი ღვთისმეტყველები, თავაზიანი პოეტი მირზა-შაფი¹ და მეცნიერი აბას-ყოლი-ხანი არიან.

Sous le titre de *Mille et un jours en Orient*, M. Bodenstedt nous raconte d'une plume charmante son séjour à Tiflis. Que de figures spirituellement dessinées passent et repassent sous nos yeux ! Je recommande le sage de Gjandsha, Mirza-Schaffy, le poète et le sage, — le premier des sages, comme il l'explique lui-même à M. Bodenstedt en lui apprenant l'arménien. A côté de Mirza-Schaffy, il y a aussi le sage de Bagdad, Mirza-Yussuf, il y a surtout le théologien Kouli-Khan, et les entretiens du voyageur avec tous ces curieux personnages nous initient d'une façon ingénieuse à tous les secrets de la société géorgienne. Ces peintures humoristiques ne semblent-elles pas parfaitement appropriées à ce pays où les traditions chrétienne, et l'esprit oriental composent un si aimable et si singulier mélange ? (429).

სათაურით „ათასი და ერთი დღე აღმოსავლეთში“ ბატონი ბოდენშტედტი მომხიბვლელად მოგვითხრობს ტფილისში ყოფნის შესახებ. რამდენი სულიერად დახატული ფიგურა გადის ჩვენ თვალწინ! მე რეკომენდაციას ვუწევ განჯელ ბრძენს, მირზა-შაფის, პოეტსა და ბრძენს, – ბრძენთაგან პირველს, როგორც თვითონ უხსნის ბატონ ბოდენშტედტს, როცა სომხურს ასწავლის. მირზა-შაფის გვერდით კიდევ არის ბაღდადელი ბრძენი მირზა-იუსუფი, განსაკუთრებით კი ღვთისმეტყველი ყული-ხანი, ხოლო მოგზაურის საუბრები ყველა ამ საინტერესო პერსონაჟთან მოხერხებულად გვიხიარებს ქართული საზოგადოების ყველა საიდუმლოს. განა ეს იუმორისტული ნახატები სავსებით არ შეესაბამება ამ ქვეყანას, სადაც ქრისტიანული ტრადიციები და აღმოსავლური სული ასეთ სასიამოვნო და თავისებურ ნაზავს ქმნიან? (...)

¹ მირზა შაფი ვაზეკი, აგრეთვე ცნობილი, როგორც „განჯელი ბრძენი“ (1794-1852) – აზერბაიჯანელი პოეტი, რომელმაც XIV საუკუნის კლასიკური აზერბაიჯანული პოეზია ააღორძინა. წერდა აზერბაიჯანულ და სპარსულ ენებზე. მისი ლექსები თარგმნილია თითქმის ყველა ევროპულ ენაზე.

C'est Yermoloff qui a établi dans la Géorgie des colonies allemandes, afin d'initier les Orientaux aux secrets de la culture européenne. Les chefs du Daghestan étaient en relations avec lui; ils venaient le voir dans sa résidence de Tiflis, et ces hardis montagnards, qui se jetaient sans pâler au-devant des canons russes, tremblaient devant Yermoloff, comme les plus fiers animaux du désert tremblent devant le regard du lion (431).

გერმანიის კოლონიები საქართველოში დააარსა ერმოლოვმა, რათა აღმოსავლეთის მცხოვრებლები ევროპული კულტურის საიდუმლოებებისთვის ეზიარებინა. მასთან კავშირი ჰქონდათ დაღესტნის ბელადებს; მის სანახავად ისინი ტფილისში, მის რეზიდენციაში მიდიოდნენ და ეს გაბედული მთიელები, რომლებიც რუსული ზარბაზნების წინ უშიშრად იდგნენ, ისე ძრწოდნენ ერმოლოვის წინაშე, როგორც უდაბნოს ყველაზე ამაყი ცხოველები ლომის მზერის წინაშე.

Il n'est pas rare de voir des chefs autrefois redoutés visiter le prince dans son palais de Tiflis et assister à ses fêtes. Quant aux Tchétchens, il a compris que ce serait une duperie de vouloir nouer des relations amicales avec eux; tant que Shamyl sera vivant, il ne faut pas s'attendre à voir cesser la guerre sainte (441).

იშვიათი არ არის ოდესღაც შიშის მომგვრელი ბელადების დანახვა, რომლებიც თავადს ტფილისში, მის სასახლეში სტუმრობენ და მის დღესასწაულებს ესწრებიან. რაც შეეხებათ ჩეჩნებს, მას [ერმოლოვს] ესმოდა, რომ მათთან მეგობრული ურთიერთობის დამყარების სურვილი თავის მოტყუება იქნებოდა; სანამ შამილი ცოცხალია, არ უნდა ველოდოთ წმინდა ომის დასასრულს.

(ფრანგულიდან თარგმნა ი. ნაჭყებიამ)